# უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 29

20/5 წ. "02" 05

ქ.თბილისი

**სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისათვის და სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისათვის ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დამატების შესახებ**

დაწესებულებების მიერ თვითშეფასების ანგარიშებში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30[1] მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტს (ს/კ: 212693049), სსიპ - საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს (ს/კ: 211349192) და სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტს (ს/კ:211328703) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა:

| საფეხური | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება დარგის/სპეციალობის ან ქვედარგის/სპეციალიზაციის მითითებით | მისანიჭებელი კვალიფიკაცია |
|---|---|---|
| მაგისტრატურა | ბიოსამედიცინო ინჟინერია | ბიოსამედიცინო ინჟინერიის მაგისტრი |

2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2015 წლის 2 სექტემბრის №10 სხდომის ოქმის პირველი ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ირინა ხანთაძე

მდივანი
ლიკა ქათამაძე